

# ხობის მოამბე

№23 (7082) 16 დეკემბერი,
პარასკევი, 2016 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

9 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის: განკარგულების პროექტი „ფრაქცია „სამართლიანობისთვის" რეგისტრაციის შესახებ", რომლის თანახმადაც საკრებულოში შეიქმნა ფრაქცია „სამართლიანობისთვის" ედიშერ წურწუმიას თავმჯდომარეობით.

მეორე საკითხად განიხილეს დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლითაც ბიუჯეტში განხორციელდა მუხლებს შორის სხვადასხვა გადანაწილებები.



მომდევნო საკითხად ასევე განიხილეს განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გამგეობის განმარტებით საანგარიშო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის დასახლებებში მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული პროექტების განხორციელების პროცესში წარმოიშვა ეკონომია 129406 ათასი ლარი, რომლითაც პროექტის ფარგლებში დამატებით ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

1. ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბიაში დამეწყრილი გზის აღდგენა - 33725 ლარი;

2. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში საცალფეხო ხიდის (ბურჯის გამაგრება) რეაბილიტაცია–39603 ლარი;

3. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში შიდა სასოფლო (ცემენტო-ბეტონის) გზის მშენებლობა) – 43721,95 ლარი;

4. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N2 საბავშვო ბაღის (ეზოს შემოღობვა) კეთილმოწყობა - 12356 ლარი. რაც საკრებულოს მხრიდან დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

განკარგულების პროექტით „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს" ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" გამგებელს მიეცა თანხმობა შპს-ს ლიკვიდაციის შესახებ.

საკრებულოს სხდომაზე ბოლო საკითად განხილულიქნა განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განმარტებით, იურიდიული პირების შერწყმა განპირობებულია კულტურისა და განათლების ცენტრების ფუნქციების, ამოცანებისა და მიზნების ოპტიმიზაციით. ამ განკარგულების თანახმად გამგებლის ბრძანებით დაიწყება განათლებისა და კულტურის ცენტრების რეორგანიზაცია და მათი შერწყმის შედეგად შეიქმნება ა(ა)იპ– „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრი".

სხდომის დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ მოკლე კომენტარი გააკეთა საჯარო მოხელეთა მხრიდან დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით. კერძოდ, ის შეეხო საჯარო მოხელეების სამსახურში დროულ გამოცხადებას და სთხოვა როგორც საკრებულოს აპარატის, ასევე გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელებს მიიღონ სათანადო ზომები, რათა არ მოხდეს შრომითი დისციპლინის უგულებელყოფა. ასევე ისაუბრა ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. კერძოდ, გურიფული-ახალსოფლის გზის მშენებლობის მნიშვნელობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე 2017 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი– სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა



**პარლამენტმა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, 102 ხმით 10-ის წინააღმდეგ, მიიღო.**

მანამდე კი დეპუტატებს მომავალი წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის მაჩვენებლები ფინანსთა მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა გააცნო. მან მთავრობის ახალ ოთხპუნქტიან ეკონომიკურ გეგმაზე და მოსალოდნელ შედეგებზე ინფორმაცია წარმოადგინა.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ბიუჯეტის პარამეტრებზე საუბრის დაწყებამდე საზოგადოებას და პარლამენტს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა. **„დღეს ჩემთვის, როგორც ფინანსთა მინისტრისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი საჯარო გამოსვლაა, ვინაიდან მე წარმოგიდგენთ ჩვენი ქვეყნის 2017 წლის ბიუჯეტის კანონს. დოკუმენტს, რომელიც არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გარანტი და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, როგორიც არის ერთი წელი, არამედ საფუძველია ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის. ეს არის დოკუმენტი, რომელმაც თითოეული ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობა და სტაბილურად ცხოვრება უნდა უზრუნველყოს**. ზოგადად, საქართველოს განვითარება დამოკიდებულია იმ ნაბიჯების თანმიმდევრობაზე, რომელსაც ჩვენ, ხელისუფლება და საზოგადოება ერთად გადავდგამთ და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში მივიღებთ შედეგებს".

**დიმიტრი ქუმსიშვილის მოსაზრებით, ქვეყნაში ჯანსაღი ეკონომიკური პროცესები ვითარდება და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი.** „ჩვენ უნდა გადავდგათ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მეტი ადგილობრივი საწარმო შეიქმნას, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებები იყოს, მეტი ბაზრები გვქონდეს გახსნილი და თავისუფალი, ღია ბაზრის პირობებში მოვახერხოთ იმპორტის ჩანაცვლება.

**მისი მოსაზრებით, ექსპორტის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანია ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებების ხელშეწყობა**. მისივე ინფორმაციით, **გაგრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს უწყობენ ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებას, მათ შორისაა, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში"**.

„თუმცა ამავე დროს აუცილებელია მაქსიმალურად დავეხმაროთ ჩვენს მეწარმეებს ამ ბაზრების ათვისებაში და სწორედ ამას ემსახურება **პროგრამა „აწარმოე საქართველოში"** და შეღავათიანი აგროკრედიტები".

ფინანსთა მინისტრმა იმ ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება, რომელთაც მთავრობა სამომავლოდ საქართველოში ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით გაატარებს. მისი თქმით, **პროგრამას „აწარმოე საქართველოში" დაემატება გარკვეული კომპონენტები, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება**.

დიმიტრი ქუმსიშვილმა 2017 წლის **სახელმწიფო ბიუჯეტით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა**.

ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია **მოსახლეობის გაზიფიცირება, ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება, სამელიორაციო სისტემების მშე-**



**ნებლობა**.

ფინანსთა მინისტრმა 4-პუნქტიანი გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ ღონისძიებებზეც ისაუბრა. **„4-პუნქტიანი გეგმით მთავრობა განახორციელებს: ეკონომიკურ რეფორმას, რომელიც ორიენტირებული იქნება კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და მის გაძლიერებაზე; განათლების რეფორმას, რაც უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში; სივრცითი მოწყობის გეგმას, რომლის ფარგლებში მომზადდება განაშენიანების რეგულირების გეგმები. სწორი სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა. მთელი საქართველოს მასშტაბით დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი. საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას; აგრეთვე საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების პოლიტიკის შემუშავებასა და მომსახურების ხარისხის დახვეწას, ასევე, უწყებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას"**,–აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

# დაიჯესტი

## ირაკლი კობახიძე: ჩვენი ამოცანაა, დავხვეწოთ კონსტიტუცია და ვაჩვენოთ ყველას, რომ გვაქვს შესაბამისი პოლიტიკური ნება



„ჩვენი ამოცანაა, რომ დავხვეწოთ კონსტიტუცია და ვაჩვენოთ ყველას, რომ გვაქვს შესაბამისი პოლიტიკური ნება“,-ამის შესახებ, პარლამენტის თავმჯდომარემ იმ დებულების განხილვის დროს ისაუბრა, რომლითაც საკონსტიტუციო კომისიის ფორმატი უნდა განისაზღვროს.

„არსად არ გვეჩქარება, ძალიან ბევრი მოსაზრება გვესმოდა იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა შეიცავს გარკვეულ საფრთხეს. ამაზე იყო საუბარი არჩევნების დასრულების დღიდან. ჩვენი ამოცანაა, რომ დავხვეწოთ კონსტიტუცია და ვაჩვენოთ ყველას, რომ გვაქვს შესაბამისი პოლიტიკური ნება. არნაირ საფრთხეს არ შეიცავს საკონსტიტუციო უმრავლესობა არსებული სახით, გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოქმედებს პოზიტიური პოლიტიკური ნებით, ჩვენ გვინდა ეს დავამტკიცოთ რაც შეიძლება მალე, ოთხთვიანი ვადა არის რაციონალური ვადა“,-განაცხადა კობახიძემ .

## კალაძის თქმით, ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფი არ გაიზრდება



მიუხედავად იმისა, რომ „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთვის და „თელასი“-სთვის ტარიფი 3 თეთრით გაიზარდა, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის თქმით, ეს სამომხმარებლო ტარიფების ზრდას არ გამოიწვევს.

ტარიფების საკითხი სემეკმა მომავალ კვირას ჩანიშნულ სხდომაზე უნდა განიხილოს .

## საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა ახალ წლამდე გაიმართება

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა ახალ წლამდე გაიმართება. პარლამენტის მიერ დამტკიცებული კომისიის დებულების მიხედვით, პირველი სხდომა დებულების ამოქმედებიდან არაუგვიანეს 15 დღისა უნდა გაიმართოს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შემდეგი შემადგენლობით განისაზღვრა: - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; საპარლამენტო უმრავლესობის, საპარლამენტო უმცირესობის და საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ დარჩენილი ფრაქციის წევრები, აგრეთვე პარლამენტის დამოუკიდებელი წევრი; ბოლო საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე იმ პარტიების და იმ ბლოკების პირველი ნომერი პარტიების თითო წარმომადგენელი, რომელთაც ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, მაგრამ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 3% მაინც; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი; იუსტიციის მინისტრი და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები; სახალხო დამცველი; ეროვნული ბანკის პრეზიდენტი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი; ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი; ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საპარლამენტო უმრავლესობას, საპარლამენტო უმცირესობას და საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ დარჩენილ ფრაქციას პარლამენტში მიღებული მანდატების რაოდენობის პროპორციის გათვალისწინებით, კომისიაში განესაზღვრება შემდეგი კვოტები: საპარლამენტო უმრავლესობა – 23 წევრი; საპარლამენტო უმცირესობა – 8 წევრი; ფრაქცია "საქართველოს პატრიოტები“ – 2 წევრი.

კომისიის პერსონალურ შემადგენლობას პარლამენტის თავმჯდომარე ბრძანებით დაამტკიცებს.

ამასთან, დებულების მიხედვით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში ოთხი სამუშაო ჯგუფი შეიქმნება. კომისიის სამუშაო ჯგუფებია:–ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო ხელისუფლების, კონსტიტუციის პრეამბულის, კონსტიტუციის ზოგადი და გარდამავალი დებულებების საკითხთა ჯგუფი; პარლამენტის, ფინანსებისა და კონტროლის და კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხთა ჯგუფი; პრეზიდენტის, მთავრობის და თავდაცვის საკითხთა ჯგუფი; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა ჯგუფი.

საკონსტიტუციო კომისიის დებულების საბოლოო ვარიანტით, კომისიაში გადაწყვეტილებების მიღების წესი განისაზღვრა. კერძოდ, კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის ცალკეული დებულებების და კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საბოლოო ტექსტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღებს.

დადგენილების მიხედვით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი 2017 წლის 30 აპრილამდე უნდა შეიმუშავოს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.

## მიხეილ ჯანელიძე—დარწმუნებული ვარ, საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული ტექნიკური პროცედურა არ შეყოვნდება



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მხოლოდ ტექნიკური პროცედურებია გასავლელი, რომელიც ახალი წლის დასაწყისში დაიწყება.

როგორც ჯანელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია, პროცედურები მიმდინარეობს და ეს პროცესი მალე დასრულდება.

„მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიღებულია. მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც იდგა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის გზაზე, ვგულისხმობ, შეჩერების მექანიზმს, გადალახულია. საქართველოსთან დაკავშირებით მსჯელობა შედგა. ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო არაფორმალურად შეთანხმდნენ. ამას სჭირდება ახლა ფორმალიზება, რომელიც ახალი წლის დასაწყისში წარიმართება. ეს პროცედურა, დარწმუნებული ვარ, არ შეყოვნდება, რადგან მხოლოდ ტექნიკურ პროცედურებს უკავშირდება. საქართველოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია. პროცედურები მიმდინარეობს და ეს პროცესი მალე დასრულდება“,–განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

## გიორგი კაკაურიძე—ლარი უნდა გამყარდეს თუ არ უნდა გამყარდეს, ამას ჩვენ ნამდვილად ვერ დავგეგმავთ



ლარი უნდა გამყარდეს თუ არ უნდა გამყარდეს, ამას ჩვენ ნამდვილად ვერ დავგეგმავთ,–ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე განმარტებით, ეს არის საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების პრინციპი.

„ლარის კურსთან დაკავშირებით, უნდა გამყარდეს თუ არ უნდა გამყარდეს, ამას ჩვენ ნამდვილად ვერ დავგეგმავთ. ეს არის საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების პრინციპი და, შესაბამისად, აისახება ის, რა მოთხოვნა-მიწოდება არის ბაზარზე“,–განაცხადა კაკაურიძემ.

## შ.ს.ს. მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს—რეკომენდაციები პიროტექნიკის გამოყენებისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტრო სადღესასწაულო პიროტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს. შსს-ს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

"შინაგან საქმეთა სამინისტრო, შობა-ახალი წლის დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას პიროტექნიკის გამოყენების თაობაზე რეკომენდაციით მიმართავს.

სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, სიფრთხილით მოეკიდონ სადღესასწაულო ასაფეთქებელ საშუალებებს, გამოიყენონ ისინი ინსტრუქციის მიხედვით და მოარიდონ პიროტექნიკას არასრულწლოვანი პირები, რადგან აღნიშნული საშუალებების არასწორად გამოყენება ხშირად სავალალო შედეგებით –ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით სრულდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, პიროტექნიკის გამოყენებისას მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების წესები და გაუფრთხილდნენ საკუთარ და გარშემომყოფი ადამიანების ჯანმრთელობას“–ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# „წინ ბევრი საკეთილდღეო საქმე იცდის“



დღეებს ითვლის 2016, ბევრი სასიკეთო ცვლილებების წელი, უმნიშვნელოვანესი კი ის, ქართული დემოკრატიის გამარჯვებისთვის იყო.

ვიდრე ჩემს სათქმელს თანმიმდევრულად თავს მოვუყრიდე, მინდა ამ გამარჯვების სიხარული ყველა ხობელს გავუზიარო და მივულოცო საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნებისა“ და მისი ღირსეული მაჟორიტარი კანდიდატის ირაკლი (დაჩი) ბერაიას გამარჯვება.

განვლილი წელი სასიკეთო ცვლილებების წელი იყო ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულისთვისაც. უღრმესი მადლობა ყველას, ვისაც მცირედი წვლილით ხელი შეუწყვია ჩვენთვის. ვაანალიზებთ რა, თუ რა გაკეთდა ჩვენს ირგვლივ, როგორ დაეტყო ცვლილება სოფლის მაცხოვრებლების კეთილდღეობას, არ გვავიწყდება, რომ ადამიანი მუდამ ახალ-ახალი წარმატებისკენ ისწრაფვის და მიღწეულით არ კმაყოფილდება. ამიტომაც გავიხსენოთ კონკრეტულად ზოგიერთი რამ:

2016 წლის დასაწყისი განსხვავებულად გამორჩეული იყო. სოფელში მოწესრიგდა მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში არსებული პრობლემები და დამთავრდა გამრიცხველიანება; საგაზაფხულო სამუშაოების შესასრულებლად მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამით, დახმარება გაეწია 375 ბენეფიციარს; სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში შპს „ლაშა-გიორგი“ საკუთრებაში არსებულ 30 ჰა მიწის ნაკვეთზე გაშენდა ფეიხოას პლანტაცია; სოფლის პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სამივე სოფელში მოხდა შიდა გზების მოწესრიგება- მოშანდაკება და დატკეპნა.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მოხდა სოფელში არსებული წყალსადენის ქსელის წერტილოვანი დაზიანებების აღმოფხვრა. თუმცა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ეს კეთილდღეობა დღემდე არ მიუღია. წყალსადენი ტექნიკურად გამართულია, მაგრამ მისი ექსპლუატაციის საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია და ამ მტკივნეული პრობლემის მოგვარების შემდეგ უფრო თამამად ვიტყვით, სოფელს აქვს 24-საათიანი წყალმომარაგება.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან, თორსა-ღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შევიდა ადრე პირველი მაისის დაქვემდებარებაში მყოფი, „ოქროს საწმისის“, დასახლება. ხობის მუნიციპალიტეტის ძალისხმევით და დაფინანსებით შეკეთდა და მოწესრიგდა თორსა-ოქროს საწმისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, რასაც განსაკუთრებული მადლიერებით შეხვდა მოსახლეობა. მათთვის სოფლის ამბულატორიისგან სასიცოცხლო დახმარების მიღებაც კი გართულებული იყო. დღეს ოქროს საწმისის მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს ექიმთან ერთად ექთანი–ნინო ლომთაძე ემსახურება.

სოფლის მოსახლეობის ჯანდაცვის საქმეს კი დაუღალავად უძღვება ექიმი მზია ლემონჯარია. ამბულატორიის ექთან ლუარა ყალიჩავასთან ერთად. მათ უანგარო შრომასა და პროფესიონალიზმს არაერთი ადამიანისთვის გაუხანგრძლივებია სიცოცხლე.

ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში წარმატებული პროექტები განახორციელა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“- „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის“ ასოციაცია „ათინათთან“ პარტნიორობით, სადაც აქტიურად თანამშრომლობენ თორსის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრები გვანცა კიკალეიშვილის ხელმძღვანელობით.

პროექტების წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო როგორც ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებამ, ასევე თემის ჩართულობამ. რამდენიმე პროექტმა განსაკუთრებით სასიკეთოდ იმოქმედა ჩვენს გარემოზე, კერძოდ: პროექტი „სიცოცხლე გარემოს“, რომლის ფარგლებში განხორციელდა თორსის შესასვლელი 3 კმ-იანი გზის მონაკვეთის ეკალ-ბარდებისგან და ნაგვისგან დასუფთავება. დაიდგა 11 ნაგვის ურნა, აღნიშნულ ტერიტორიაზე დამონტაჟდა საინფორმაციო ბანერები და უახლოეს მომავალში ზემოთ დასახელებულ გზაზე, გარემოს დაცვის მიზნით, ასევე დამონტაჟდება ვიდეოთვალი.

განსაკუთრებული მადლიერება, კმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში პროექტმა „ნათელი მომავალი“, რომლის ფარგლებში თორსის საბავშვო ბაღს 700 ლარის საბავშვო ლიტერატურა და სხვა ნივთები გადაეცა; ასევე პროექტი „ ჯანსაღი თაობა“, რომლის ფარგლებშიც კვლავ თორსის საბავშვო ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება უნდა მოხდეს.

მიუხედავად უამრავი საკითხისა, რომელთა მოგვარებამ თავისი კეთილი კვალი დატოვა სოფლის მკვიდრთა ცხოვრებაში, პრობლემებს კიდევ ვინ მოთვლის. განსაკუთრებით კი დავასახელებდი სოფლის ახალგაზრდობისთვის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, რომელიც ხელს შეუშლიდა მათი მხრიდან სოფლის დატოვებას, ე.ი. მიგრაციას...

წინ ბევრი საინტერესო და საკეთილდღეო საქმე იცდის. ჩემი სურვილია, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა და ჩვენი ერთიანობით სოფლის ლამაზი მომავალი ერთად შევქმნათ, შევქმნათ ისეთი სოფელი, რომლის ცხოვრების დონე და ინფრასტრუქტურა ქალაქს გაუთანაბრდება.

დიახ, ჩემი ძირითადი საახალწლო სურვილიც ეს არის.

ყველას გილოცავთ კარსმომდგარ ახალ წელს და გისურვებთ, ბედნიერი, ღიმილიანი სახეებით სავსე ქუჩებს. მომავალშიც განსაკუთრებული სულიერი სიმშვიდის, ქვეყნის კეთილდღეობის, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის წელი დაგვბედებოდეს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეო საქმეების საკეთებლად.

***ედემი ლატარია,***

***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი თორსა-ღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში***

# შიდა აუდიტი, შიდა კონტროლის მექანიზმია

ხობის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური საქმიანობას შეუდგა 2014 წლის 1 აგვისტოდან. იგი წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას და კანონიერებას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას.

შიდა აუდიტი შიდა კონტროლის მექანიზმია, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი და აუცილებლი როლი ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებისთვის. ეს არის დამოუკიდებელი, ობიექტური მტკიცებულებითი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და აუმჯობესებს დაწესებულების ფუნქციონირებას. იგი დაწესებულებას ეხმარება მიზნების მიღწევაში, რისკის მენეჯმენტის, კონტროლისა და მართვის ავტონომიური პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში სისტემური, ორგანიზებული მიდგომის გამოყენებით.

შიდა აუდიტის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ იგი არა მხოლოდ ფინანსურის, არამედ შესაბამისობის, სისტემურის, ეფექტიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით შემოწმებას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას გულისხმობს.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური მოქმედებს წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით.შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და შეიცავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ დავალებებს. შიდა აუდიტის წლიურ გეგმას ადგენს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

გარდა ამისა, ჩვენი სამსახური მუშაობს კონტროლისა და ინსპექტირების კუთხით. რაც მოიცავს სამსახურებრივი გადაცდომის, დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების განხორციელების პრევენციის და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული შემოწმების ღონისძიებას.

სამსახურის დაარსებიდან დღემდე განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ეტაპობრივად შემოწმება და გამოიცა შესაბამისი ანგარიშები, სადაც გამოვლენილიქნა გარკვეული ხარვეზები და გაიცა რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. ჩვენს სამსახურს ასევე აქვს მონიტორინგის ფუნქცია, რაც გულისხმობს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ხარვეზების გამოსწორება რეალური სიტუაციის გათვალისწინებით გარკვეულ დროს მოითხოვს. ჩვენ მზად ვართ, მივმართოთ ძალისხმევას ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

აუდიტის სამსახურის მუშაობის შეფასებისას გვირჩევნია ვიყოთ თვითკრიტიკულები და სხვამ შეგვაფასოს, ჩვენ კი უნდა ვეცადოთ დავეხმაროთ გამგეობის სამსახურებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, დახვეწონ საკუთარი საქმიანობა და განიცადონ პროგრესი, ამ გზით ვისწრაფით ჩვენი სამსახურის სრულყოფისკენ.

და ბოლოს, ხობის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის სახელით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალი წელს და გისურვებთ წარმატებებს.

**მინდია ნაჭყებია,**

***ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი.***

# დევნილი ოჯახების ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილება–დევნილთა და განსახლების სამინისტროს პრეროგატივაა



***მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული სამსახურების მუშაობა, მათ მიერ შესრულებული ვალდებულებები მკითხველისთვის და მოსახლეობისთვის ხშირ შემთხვევაში კადრს მიღმა რჩება. არის ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა. თუ რა ხდება დღესდღეისობით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურში.***

***ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ სამსახურის უფროსს ქალბატონ შოლინა კანკიას.***

***თქვენი სამსახური საკმაოდ ბევრ სფეროს მოიცავს, თქვენ წარმართავთ მის საქმიანობას, უფრო ვრცლად მოგვიყევით ამის შესახებ?***

–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას (მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების განხილვით და მათი საჭიროებების გათვალისწინებით. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობების მიხედვით). თვითმმართველობის ერთეულის დაქვემდებარებაში არსებული ჯანმრთელობისა და სოციალური ობიექტების მართვას, დამტკიცებული პროგრამების განხორციელებას, მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა, ვეტერანთა და ლტოლვილთა სოციალური დახმარების საკითხებს.

***რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხრივ, ახდენს თუ არა სამსახური მონიტორინგს?***

–მუნიციპალიტეტში დელეგირებული უფლებამოსილებით ფუნქციონირებს ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც მართვადი და არამართვადი დაავადებების პრევენციას ახდენს. ყოველწლიურად დგება აღნიშნული ცენტრის მიერ პროგრამა, რომლის შესრულებაზე ჩვენი სამსახურის მიერ ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის თანამშრომლები კეთილსინდისიერად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რის შედეგადაც ეპიდსიტუაცია მუნიციპალიტეტში დამაკმაყოფილებელია.

***ერთჯერადი დახმარებები გაიცემა?***

–ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა, შემოსული განცხადებების კომისიურად განხილვის შედეგად მეტად შეჭირვებულ ოჯახებზე, დახმარების გაწევის დროს კომისიასთან ერთად ჩართულები არიან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულები, რამეთუ მათ უკეთ იციან თავიანთი მაცხოვრებლების ოჯახური მდგომარეობები.

***რამდენი სოციალურად დაუცველია მუნიციპალიტეტში და რას აკეთებს მათთვის გამგეობა?***

–სოციალურად დაუცველი ოჯახები, სოციალური სააგენტოს მონაცემებით მუნიციპალიტეტში დაახლოებით 800-დან 900-მდეა, მათი რიცხვი ყოველთვიურად იცვლება გადამოწმების შედეგებიდან გამომდინარე. ამ კატეგორიის ოჯახები ჩართულები არიან პროგრამით (ქალაქის ტერიტორიაზე მაცხოვრებლები) ყოველთვიურად წყლის გადასახადის დაფარვაზე, რომელთა სიებს გვიგზავნის სოციალური სააგენტო, ერთ სულ ადამიანზე 1,77 თეთრი. ასევე დანგრეული სახლების შეკეთების პროგრამაში, მიმდინარე წელს საყოფაცხოვრებო პირობები გაუუმჯობესდა 20-მდე ოჯახს, რაც მომავალ წელსაც გაგრძელდება.

***აწარმოებთ თუ არა უმუშევართა რეგისტრაციას (დებულება ამას ითვალისწინებს) და აქვთ თუ არა მათ შესაბამისი სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა?***

–უმუშევართა რეგისტრაცია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სააგენტოს ერთიან ბაზაში, ცხადდება ელექტრონულად სპეციალურ საიტზე ვაკანსიები და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის.

***უსახლკაროებზე რას გვეტყოდით? არიან თუ არა ისინი მუნიციპალიტეტში? და თუ არიან რა ზომებს იღებთ?***

–უსახლკაროები არიან, ასეთები ერთეულებია ღვთის წყალობით და მათ თვითნებურად დაკავებული აქვთ მიტოვებული ფართები, სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტში არ არის ასეთებისთვის თავშესაფარი. რომელიც არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის პრობლემაა, ეს საკითხი დაყენებულია ზემდგომ ორგანოებში, რათა აშენდეს რეგიონში თავშესაფარი ერთი მაინც, რომელიც მოაგვარებს მსგავს პრობლემებს.

***როგორია შობადობის მაჩვენებელი და რა დახმარებას უწევს სახელმწიფო მრავალშვილიან დედებს?***

–შობადობის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში ბოლო წლებია მცირედით, მაგრამ მაინც იზრდება. ბოლო 3 წლის მაჩვენებელი ასეთია 2014წელს დაიბადა 325 ბავშვი. 2015 წელს 328 და 2016 წლის ოქტომბრის მაჩვენებლით 320. გაზრდილია სხვა წლებთან შედარებით ოჯახზე მე-3 და ზევით ბავშვთა რაოდენობა. მრავალშვილიან ოჯახებს ყოველ მესამე და შემდგომ ბავშვზე ეძლევათ მუნიციპალური პროგრამით ერთდროული დახმარება 300 ლარი, ხოლო სახელმწიფო პროგრამით სოციალური სააგენტოდან ყოველთვიურად 2 წლამდე ბავშვის 150 ლარი ერიცხებათ.

***რამდენი დევნილია მუნიციპალიტეტში, თუ აწარმოებთ მონიტორინგს მათი საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის მიზნით? და აქვე ჩაგეკითხებით, რამდენი იძულებით გადაადგილებული პირი იქნა დაკმაყოფილებული საცხოვრებლით?***

–მუნიციპალიტეტში ამჟამად რეგისტრირებულია 3400მდე დევნილი. ისინი ჩასახლებულნი არიან როგორც კომპაქტურად ასევე, კერძო სექტორში. დევნილები ხშირად მომართავენ დევნილთა განყოფილებას სხვადასხვა საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ხდება კანონის შესაბამისად. მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილები სარგებლობენ ჯანდაცვის და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამით, კატეგორიების მიხედვით ისევე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა.

დევნილი ოჯახების ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილება, რომელიც მათ საკუთრებაში უნდა გადაეცეთ, ეს დევნილთა და განსახლების სამინისტროს პრეროგატივაა. დევნილები განცხადებით მიმართავენ სამინისტროს და შესაბამისი ქულებით ხდება მათი რიგითობით დაკმაყოფილება. რაშიც სამსახური, უფლებამოსილებიდან გამომდინარე არ ერევა.

გმადლობთ ინტერვიუსთვის. წარმატებებს გისურვებთ.

***ესაუბრა***
***ნინო გერგაია.***

## ნომრიდან ნომრამდე

# ხობი ფოთს უახლესი გზით დაუკავშირდება



10,5-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მშენებლობა 2017 წელს დასრულდება, ხობი ფოთს უახლოესი გზით დაუკავშირდება. ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის სადგურის დამაკავშირებელი 10,5-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც Guardian.ge-ს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გოჩა ქაჯაიამ განუცხადა, პროექტი გარდამავალია და დაახლოებით 8 თვეში–2017 წელს დასრულდება. „ეს არის ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი პროექტი მთლიანად მხარისთვის. პროექტი გარდამავალია და სავარაუდოდ, 8 თვეში უნდა დასრულდეს. ამ ეტაპზე გეტყვით, რომ ისეთ სწრაფ ტემპში ხორციელდება სამშენებლო სამუშაოები, რომ გეგმით გათვალისწინებულ დროსაც კი უსწრებს“,–განაცხადა გოჩა ქაჯაიამ.

ხობის გამგებელთან ერთად, სამუშოების მიმდინარეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია გაეცნო. „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და უახლოესი გზა, რომელიც ხობს ფოთთან აკავშირებს. ახალი გზა ქალაქ ხობში მდინარე ხობის ხიდთან იწყება, გაივლის სოფელ მეორე გურიფულს, გალმა პირველ ხორგას, ახალსოფელს და რკინიგზის სადგურთან მთავრდება. ახალი გზა თეკლათი-ჭალადიდი-ფოთის ავტომაგისტრალს უკავშირდება“–განაცხადა ლევან შონიამ. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ცნობით, ახალი გზის მშენებლობისთვის 6 მილიონამდე ლარი იხარჯება. გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის გარდა ეწყობა ხიდები, ტროტუარები, ეზოებში შესასვლელები, სანიაღვრე არხები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა. პროექტს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

# სტიქიისგან დაზარალებულ ოჯახებს თანხა ჩაერიცხებათ



ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან მიყენებული ზარალის შემსწავლელმა კომისიამ, 21, 22 და 23 ნოემბერს ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზარალის მოცულობა განსაზღვრა. კომისიის გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამიდან 32 ოჯახს 8761 ლარი გადაერიცხება.

ძლიერმა ქარმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა, ქ. ხობში, ჭყონდიდელის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელი სახლს, რომელიც დაზიანდა. სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენიმე დღეა დასრულდა.

## წარმატებული ხობელები ხობს გარეთ

# „ხშირად გაიღიმეთ, დარდები დამალეთ.“



***გაგვაცანით თქვენი თავი. პროფესია და საქმიანობა?***

–პირველ რიგში მივესალმები თქვენს მკითხველებს და რედაქციის თითოეულ ჟურნალისტს,უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ მათ მიმართ. რაც შემეხება მე–ვარ დიკა სალაყაია. ჟურნალისტის პროფესიით და თანამედროვე ავტორების კატეგორიაში ტიტულით–პოეტი. (ეს რა თქმა უნდა ხუმრობით). საერთოდ კი ვარ ერთი ჩვეულებრივი გოგონა ხობიდან,რომელსაც ზოგჯერ წვიმისფერი ფიქრები აქვს...ზოგჯერ სხვების სანაცვლოდ სტკივა და სხვების ბედნიერებით ეღიმება...

***თქვენი მამისეული ოჯახი.***

–ვამაყობ იმით, რომ ვარ სამეგრელოს ულამაზესი რაიონიდან–ხობიდან. ხობში დავიბადე, გავიზარდე და გარკვეული პერიოდი საკმაოდ აქტიურად ვიდექი თავისუფალი სიტყვის სადარაჯოზე ჩემს მშობლიურ ქალაქში. ჩემი მშობლები ხობში ცხოვრობენ. შეიძლება ითქვას ისინი გამორჩეული, განსაკუთრებული ხობელები არიან...

მამაჩემი–ენვერ სალაყაია, პროფესიით ისტორიკოსია. ძალიან ძლიერი პიროვნება, უსაზღვროდ კეთილი, პატიოსანი, უაღრესად განათლებული და თავმდაბალი. ზოგჯერ მგონია, რომ იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელიც მის განათლებას შეეჯიბრება. მთელი ბავშვობა მახსოვს ღამეებს ათენებდა წიგნების კითხვაში... მე და ჩემს დასაც წიგნთან ურთიერთობა მან გვასწავლა. მესამე კლასში ვიყავი როცა „მოხუცი და ზღვა“ წამაკითხა და დღემდე მომყვება ის ემოცია რაც კითხვისას მეუფლებოდა...

დედაჩემი, თამილა გვასალია თბილი, ღიმილიანი, სათნო და ყველაზე ძლიერი ქალია. ვიტყოდი, რომ იგი ჩემთვის ყველაზე დიდი დაქალია.

***თქვენი ოჯახი...***

–მე თბილისში ვცხოვრობ,–მყავს მეუღლე და ორი შვილი... ჩემი მეუღლე პროფესიით ფინანსისტია. დამატებით ბრიტანეთში მიიღო განათლება კომპიუტერული ინჟინერიისა და პროგრამირების კუთხით... ჩემი საყრდენი, საიმედო... მზრუნველი მეუღლეა და მისაბაძი მამაა... ხშირად ხუმრობს–შენი მუზა ვარო!.. (ასეც არის). უყვარს სამეგრელო–ყოველ დღესასწაულზე ჩემთან ერთად უხარია ჩამოსვლა და ეს ტრადიციად გვექცა....

***ბავშვობა, ადრეული სასკოლო პერიოდი, სკოლა, მასწავლებლები?***

–ვსწავლობდი ხობის №2 საჯარო სკოლაში. საკმაოდ კარგი მოსწავლე ვიყავი. სკოლიდანვე განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა.

ქალბატონი იამზე აბრალავა იყო ჩემი ქართულის პედაგოგი და დამრიგებელი. ჩვენთან ერთად აწყობდა საღამოებს. წიგნის, ლექსის და ქართული სიტყვის სიყვარულს გვასწავლიდა და მეც ვისწავლე.

ისტორიას ქალბატონი ბეტა რუსია მასწავლიდა. ჩემი უსაყვარლესი პედაგოგი იყო. სულ სიახლის ძიებით და ახალი მეთოდებით გვიმარტივებდა სასწავლო პროცესს.

***პროფესიის არჩევა.ფაქტორები რამაც განაპირობა თქვენი არჩევანი,სტუდენტური წლები.***

–ყოველთვის ჟურნალისტობა მინდოდა (უალტერნატივოდ). სწავლაც ამ მიმართულებით განვაგრძე. ჩავაბარე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. პუბლიცისტური ოსტატობის კუთხით. ლექციებს პროფესორი და ჟურნალისტიკის დიდი მაესტრო ბატონი ნოდარ ტაბიძე მიკითხავდა. მისი ლექციები ყოველდღიურად მზრდიდა და მცვლიდა.

ერთ-ერთ ლექციაზე კი ბატონმა ნოდარმა მითხრა, რომ მისი რედაქტორობით ჩემი პირველი წიგნი უნდა დაგვებეჭდა. ეს დიდი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში.

სტუდენტური წლები საკმაოდ აქტიური და ყოველწუთიერი ძიების პროცესი გახლდათ... უნივერსიტეტის ბეჭდური გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წარმომადგენელი ვიყავი, სტუდენტური საბჭოს წევრი და ა.შ. ახლა დაახლოებით ათი წელი გავიდა რაც უნივერსიტეტის კედლები დავტოვე როგორც სტუდენტმა და სულ რამოდენიმე დღის წინ კი შევაბიჯე როგორც მიწვეულმა საპატიო სტუმარმა და თანამედროვე ავტორმა... ესეც ხომ რაღაც სტიმულია და მიზეზია საიმისოდ, რომ გახდე უფრო უკეთესი ვიდრე ხარ...

***ნაბიჯები, რომლითაც აღწევდით მიზანს..***

–ყოველთვის ვცდილობდი აქტიური ვყოფილიყავი. პირველი სამუშაო გამოცდილება რადიო „ოდიში +“-ში შევიძინე. საავტორო გადაცემით „უჟალუზოდ“. შემდეგ მუშაობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განვაგრძე „საზოგადოებასთან, მედიასთან და არსამთავრობო სექტორთან ურთიერთობის დარგში“. მას კი მოჰყვა სამაუწყებლო კომპანია „მეცხრე ტალღაში“ ჟურნალისტად მუშაობის წლები... (ეს კი ძალიან დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის, რომელიც მომყვება აქამდე)მერე იყო გაზეთი „ბინული“ სადაზღვეო კომპანია–ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტი. პიარი და სხვა.

მაგრამ მე სულ რაღაცის ძიებაში ვიყავი თითქოს...

დაინტერესებული ვარ ლაზური ენით. ვწერ, მაქვს მიღებული სიგელებიც, როგორც თანამედროვე ავტორს. ჩემს ლექსებს ბავშვები, რომლებსაც არც ვიცნობ ხშირად დედებს უკითხავენ და ეს ყველაფერია ჩემთვის. ყველაფერია, როცა სრულიად უცხო ადამიანის ბარათს მიიღებ, რომელიც სრულდება სიტყვით–მადლობა, რომ არსებობთ!.. ყველაფერია, როცა მაღაზიაში შესულს გამყიდველი გცნობს და ლექსებისთვის გიხდის მადლობას. ყველაფერია, როცა საწოლს მიჯაჭვული ადამიანი გწერს, რომ მის ცხოვრებას შენი სტრიქონები ალამაზებს... მაგრამ ამ ყველაფერს წინ დიდი უანგარო შრომა და ნებისყოფა უძღოდა.განა ასე ადვილია გყავდეს ამდენი მკითხველი, რომელიც ყოველ დღე შენს ახალ ლექსს, ჩანაწერს ელოდება... ეს რომ გულიდან არ მოდიოდეს ალბათ ვერც შევძლებდი, მაგრამ რასაც ვაკეთებ, ძალიან ჩემია და მიყვარს... ჩემი ყველა ლექსი თითქმის ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი და ისინი არასოდეს ჩამისწორებია... ისეთები არიან როგორიც მე, ისეთი სათქმელები არიან იმ წუთას, რომ მედარდებოდნენ ან მათბობდნენ, თუმცა ზოგჯერ მათ დაცვაც სჭირდებათ, ზოგჯერ ხდება ხოლმე როცა უავტოროდ, დამახინჯებულად ვრცელდება და საავტორო უფლებათა ასოციაციაც ხშირ შემთხვევაში ვერ უმკლავდება სიტუაციას... ყოველი მსგავსი ფაქტი ცუდად მოქმედებს ნებისმიერ ავტორზე და მათ შორის ჩემზეც, თუმცა ბოლო დროს მსგავსი ფაქტები იშვიათად მხვდება, ეს კი იმაზე მეტყველებს რომ მკითხველების და საზოგადოების მიდგომაც შეიცვალა... უფრო პასუხისმგებლობით და პატივისცემით ეპყრობიან სხვათა ინტელექტუალურ საკუთრებებს რაც ძალიან მიხარია.

***ადამიანები, რომლებმაც გავლენა იქონია თქვენზე?***

–ცხოვრება ერთი გრძელი გზაა და ამ გზაზე ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ჩვენში რაღაცას ცვლიან, ან უბრალოდ ჩაივლიან... მეც ასე ვარ, ზოგიერთი სახე ჩემთან რჩება სამუდამოდ. მათი გახსენება და ნახვა სითბოთი მავსებს... ძალიან ბევრი ასეთი ადამიანია ჩემს ცხოვრებაში... მაგრამ ერთი განსაკუთრებულად მყავს გულთან ახლოს... ეს მამა გიორგი(ბასილაძეა)... მან ყველაფერი შეცვალა ჩემს ცხოვრებაში. თითქოს ხელი მომკიდა და რაღაც სხვა მზიანი კარი შემაღებინა. საგნების, ადამიანთა ქმედებების სხვა გვარი აღქმა შემაძლებინა. ისე გამზარდა და გამასხვაფერა, რომ ტკივილის უხმოდ დათმენა,მიტევების დიდი უნარი და სასწაულების რწმენა შემმატა...

***წინააღმდეგობები,როგორ გადაგილახავთ.***

–წინააღმდეგობების გარეშე არ არსებობს არც ერთი წარმატება. მაგრამ როგორც მამა გაბრიელი ამბობს „თუ ღმერთი შენსკენაა რა მნიშვნელობა აქვს ვინ გებრძვის“. ზუსტად ასეა. მთავარია ჩვენი სწრაფვა იყოს მართალი, სწორი და წყალობაც იქნება. არ ვეთანხმები მათ ვინც ფიქრობს, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. არა! ასე არ არის!. შენი მიზნისათვის რაღაც არ უნდა გადათელო, ვიღაცას არ უნდა ატკინო, ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინო, რომ ამ საქციელზე საუბარი ხმამაღლა არ შეგეძლოს.

საერთოდ ოპტიმისტი ვარ და ხშირად მახსენდება ერთი გამოთქმა: „ღმერთმა თუ ყველა კარი დაგიკეტა, ფანჯარა მაინც დაგიტოვა ღია!“..’

***ღირებულებები რომლითაც ცხოვრობთ?***

–ჩემთვის ძალიან ფასეული, სხვისთვის შეიძლება უმნიშვნელო იყოს... ზოგადად შემოქმედი ადამიანები მატერიალურს არ ვაყენებთ უპირველეს ყოვლისა...

მეც, როგორც ყველა პიროვნებას ჩემი პრინციპები, შეხედულებები და ღირებულებები გამაჩნია. ხშირად ვახდენ ინტერესების და შეხედულებების გადაფასებებს, მაგრამ ყოველთვის ვარ სიმართლის მხარდამხარ (რაც არ უნდა წამგებიანი იყოს ეს პოზიცია). არ შემიძლია ვიღაცას ტაში დავუკრა ეგოისტური მოლოდინის გამო. არ შემიძლია!..

მაგრამ შემიძლია ჩემი სამკაულებიდან ყველაზე ძვირადღირებული ბრილიანტის თვალი დაუფიქრებლად ამოვაძრო და ღვთისმშობლის ხატს მივამაგრო. შემიძლია არ წავიდე იქ, სადაც დიდი წარმატება მელოდება,მხოლოდ იმიტომ რომ ჩემი პატარა შვილი გამომეტირა. შემიძლია ვაპატიო,როცა არ ელოდება და პირიქით. ზოგჯერ ისეთი,რამე მადარდიანებს, რომ სხვას სასაცილოდ მოეჩვენება.

***რა მოგცათ უამრავ ადამიანებთან ურთიერთობამ და საერთოდ,როგორ ადამიანებთან ამჯობინებთ ურთიერთობას?***

–დავიწყებ იმით,რომ ცხოვრებაში მეც ვისწავლე არ გავუღიმო მათ, ვის წინაშეც გულით არ მეღიმილება. ძალდატანებით ურთიერთობებს ვერ ვიტან. ალბათ მაშინათვე მეტყობა და ის ადამიანები, ვისთანაც არ მსურს ურთიერთობა ამას გრძნობენ... ისე კი ძალიან ბევრნი ვართ, ვინც ყოველდღე კითხულობს ჩემს „შემოქმედებას“, ისინი მწერენ, რომ მათ ცხოვრებას რაღაცით ვათბობ და ვალამაზებ.

***თქვენი ერთი სამუშაო დღე?***

–ასე კონკრეტულად ვერ ვიტყვი... მაგრამ ყველა დღე კითხვით ან წერით იწყება. სიახლეების ძიებით, მერე იმ მკითხველამდე მიტანით რომელიც ელოდება... ხშირად შემოქმედებით საღამოებზე ვარ მიწვეული და მეც საიმოვნებით მივდივარ. ყოველ ასეთ შეხვედრაზე მგონია, რომ პირველად ვდგები მკითხველის წინაშე. რუდუნებით მიმაქვს ჩემი შემოქმედება და უკან სიყვარულით სავსე ვბრუნდები და უფრო მეტის გაკეთების სურვილი მიჩნდება. ზოგჯერ წერილები მხვდება ადამიანები დახმარებას ითხოვენ,მეც ვცდილობ თანაგრძნობას, დახმარებას. ახლა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე ვმუშაობ,რომელსაც სულ მალე ნახავს მკითხველი და ერთ-ერთ უნივერსიტეტთან ლიტერატურულ საავტორო გადაცემას ვამზადებ,რომელიც სულ მალე გავა ეთერში და რომელსაც ალბათ–„პოეზიის 5 წუთი“ ერქმევა...

***ოცნება***

–ოცნებაც როგორც შემოქმედს აბსტრაქტული მაქვს. ანუ სხვადასხვა ფერის ოცნებები მაქვს...

ზოგჯერ ვოცნებობ ვიყო ბავ-

>>>>>>>>>>>>>> 7

# ჭეშმარიტი მოძღვარი

მასწავლებლობა ადამიანის სულის ძერწვის უდიდესი ხელოვნებაა. კარგი მასწავლებელი მოსწავლეებისთვის უდიდესი ბედნიერებაა. მისი ამაგი არასოდეს იკარგება, რადგან შემოქმედის მიერ მიღწეული შედეგები მარადიულია.

დღეს, განათლების სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, დაწყებით განათლებას. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი შთაგვაგონებდა: „დაწყებითი სკოლა ის ადგილია, სადაც პირველი თვალი უნდა აიხილოს გონებამ, სადაც პირველი ფეხი აიდგას კაცის სულმა და გულმა, სადაც პირველი უნდა ჩაინერგოს თესლი ზნეობისა, სიკეთისა, კაიკაცობისა ადამიანისა“.

საბედნიეროდ, ცოდნის ასეთი ტაძარი ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრია, განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო ხობის №2 საჯარო სკოლა, სადაც დაწყებითი კლასების წარმატებული, დამსახურებული პედაგოგების ლალი სურმავას, ნონა მიქაუტაძის, მაია ნოდიას, შორენა სიჭინავას, ნონა ბიგვავას და სხვათა გვერდით არის ამაგდარი ადამიანი, უსაჩინოესი მქადაგებელი, მოუღალავი ენერგიის, სიბრძნის, სიკეთის მთესველი, „დედაენის“ ჭეშმარიტი მოძღვარი, მასწავლებელთა მასწავლებელი –ქალბატონი მთვარისა ჯაკონია–სერგია. ისინი ერთად ნორჩებს უქმნიან ისეთ პირობებს იფიქრონ, იმსჯელონ, აითვისონ მეცნიერებათა საფუძვლები და სკოლაც წარმატებულთა შორის წარმატებულია.

ქალბატონი მთვარისა დაიბადა ძველ ხიბულაში, დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, სოხუმის მ.გორკის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა ძველი ხიბულის საბავშვო ბაღის გამგედ, ქვედაზენის რვაწლიან სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად. 1976 წლიდან დღემდე მუშაობს ხობის №2 საჯარო სკოლაში. გააჩნია მუშაობის 45 წლის სტაჟი. მას გავლილი აქვს მრავალი ტრენინგი. ხოლო აღნიშნული სკოლის დაწყებითი კლასი მეორე წელია ჩართულია C-praid-ის პროგრამაში, სადაც მათემატიკის ფასილიტატორი ქალბატონი მთვარისა ჯაკონია გახლავთ. მთელი ამ წლების განმავლობაში ორჯერ იყო დასახელებული როგორც წლის „საუკეთესო პედაგოგი“, მიღებული აქვს სიგელები, მადლობები, როგორც სკოლის დირექციის მიერ, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისგან. შესანიშნავად კერავს, ძერწავს, ქსოვს, ქარგავს. მისი საოცარი ხელგარჯილობით არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სხვადასხვა სახის გამოფენა-კონკურსში. აქვს ლაურეატის წოდება, ერთ-ერთი მისი ნაქარგი შეტანილია „ხელოვნების“ წიგნში.



ქალბატონ მთვარისას ოჯახიც სანიმუშოა. მეუღლე დანიელ სერგია ყოფილი საგზაო ინსპექციის ინსპექტორი, ამჟამად პენსიონერია, ყავთ ორი შვილი, ვაჟიშვილმა მევლუდ სერგიამ დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აქვს მცირე ბიზნესი, მისი მეუღლე ნონა ბიგვავა პროფესიით პედაგოგია და მუშაობს ამავე სკოლაში. მათი ურთიერთობა შესაშურია. როგორც ოჯახის წევრების, მეგობრების და კოლეგების სახით. ქალიშვილმა მაკა სერგიამ–დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე. აქვს მაგისტრის დიპლომი. სიძე ნოდარ (გია) ჭითავა კემბრიჯის უნივერსიტეტდამთავრებულია. არის ბიზნესმენი.

შვილიშვილები ბარბარე სერგია, მარიამი, ხატია, მართა და ნიკოლოზ ჭითავები.

ასევე ქალბატონ მთვარისას გააჩნია კარგი რეჟისორული თვისებები, მისი სცენარით არაერთი საინტერესო ღონისძიება გამართულა. მათ შორის ერთ-ერთი ღონისძიების თანამონაწილე მეც გახლდით.

შეხვედრა ამავე სკოლის დამსახურებულ მასწავლებელთან, ხობის „საპატიო მოქალაქე“ ბატონ ალექსანდრე არჩაიასთან.

ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ბატონი საშა მოსწავლეების წინაშე ღელავდა, განიცდიდა, მოსწავლეები კითხვას კითხვაზე უსვამდნენ. როგორი უნდა იყოს მასწავლებელი?

„თქვენ რომ გიყურებთ, ჩემო პატარებო, თავი ბავშვი მგონია, ჩემთვის მასწავლებელი სინდისი და პატიოსნებაა, წმინდა ლამპარია, მეორე დედაა, ჩემი პირველი მასწავლებელი იყო რომელმაც დედაენის სიბრძნეს მაზიარა, პირველი სიტყვა მან დამაწერინა და მისი დავიწყება შეუძლებელია. მეც თქვენი მონამორჩილი, ამ სკოლის მასწავლებელი ვარ და ვამაყობ მისი ისტორიული წარსულითა და დღევანდელობით.

ბატონმა საშამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მთვარისა მასწავლებელს, მოსწავლეებს, მშობლებს და მთელ პედაგოგიურ კოლექტივს დაფასებისთვის.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ნანა ქვარაიამ ქალბატონ მთვარისას და ბატონ საშას უსურვა კიდევ დიდხანს ელვაწოთ ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ.

ღონისძიებამ ამაღელვებელი განწყობით ჩაიარა.

***ნაირა ბერაია.***

# „მოვეფეროთ იაკობის დედაენას“



სიგელი

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი

აჯილდოებს

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირმა 2016 წელს, იაკობ გოგებაშვილის დაბადების 176 და „დედა ენის“ 140 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული „მოვეფეროთ იაკობის დედაენას“ ჩაატარა. კვირეულში მონაწილეობა საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებმა და დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა მიიღეს.

საკონკურსო პირობები შემდგომში მდგომარეობდა:

1. ილუსტრირებული ალბომისა და ხელისგულისოდენა წიგნების შექმნა;
2. ჩანახატების კონკურსი;
3. პოეტური ნაწარმოებები–ჩვენი შემოქმედება;
4. პუბლიცისტური ნაწერები–ჩვენი სარკმლიდან დანახული იაკობი და „დედა ენა“.

ხობის №1 საჯარო სკოლის მეორე კლასის პედაგოგმა ლალი ჩიტაიამ საკონკურსო თემად ხელისგულისოდენა წიგნის შექმნა აირჩია. პროექტში აქ-



ტიურად ჩაებნენ მშობლებიც. პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილის ორ მოთხრობაზე შეაჩერა არჩევანი: „ადამიანის სხეულის ნაწილები“ და „შავი კატა“. მოსწავლეებმა მხატვრის დახმარებით მოხატეს წიგნები. მოთხრობა „ადამიანის სხეულის ნაწილები“ ინგლისურად ითარგმნა. სახელდახელოდ მომზადებული წიგნები თბილიში იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირში გაიგზავნა. სულ ახლახანს ქალბატონ ლალი ჩიტაიას გამარჯვების შესახებ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მიერ შექმნილმა სპეციალურმა ჟიურიმ შეატყობინა და მადლობის წერილი და დიპლომები გამოუგზავნა. სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან გაბისონიამ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებსა და მასწავლებელს დაუღალავი მუშაობისთვის, მიღწეული წარმატებისთვის, მშობლებს–მხარდაჭერისთვის.

ამ პატარებს წინ ბევრი საგანმანათლებლო პროექტები ელოდებათ. მინდა თითოეულ მათგანს წინსვლა და წარმატებები ვუსურვო.

**ნინო გერგაია.**



5

შვთა სახლის თანამშრომელი და ყოველდღე გულში ჩავიკრა სითბოს მოკლებული პატარები. ენგურის ხიდი გადავირბინო და სოხუმის სანაპიროზე გავისეირნო. რაღაც სასწაული გამოვიგონო, ისეთი სასწაული, რომ ყველანაირ ტკივილებს გააყუჩებს ქვეყნად. რაც შეეხება უფრო მატერიალურ ოცნებას, ვოცნებობ–სადმე მაღლა, მთაში მქონდეს პატარა სახლი დიდი ფანჯრებით და ბუხრით....

***დღეს რა კავშირი გაქვთ ხობთან? რას ეტყოდით ხობელებს?***

–ხობში ჩემი სახლია. ჩემი დედიკო, მამიკო. ყოველ ზაფხულს და ყველა დღესასწაულზე ხობში ვარ. სადაც უნდა წავიდე და რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს მე ხობელი ვარ. დიკა სალაყაია ხობიდან და ამით ძალიან ამაყი ვარ...

მინდა, რომ წინსვლა ვუსურვო ჩემს ხობს და ხობელებს. სიახლეები შესაძლებლობების და ადამიანური რესურსების რაიონის საკეთილდღეოდ მართვა... მინდა, რომ ჩვენი უნიჭიერესი ხობელები რომლებიც სხვა ქალაქებში და ქვეყნებში ახდენენ რეალიზებას, შინ ბრუნდებოდნენ. არც ერთი ხობელი არ წასულიყოს საკუთარი თავის ძიებაში ხობიდან.

***ცხოვრებას თავიდან რომ იწყებდეთ?***

–ხშირად მიფიქრია. ალბათ ყველაფერი ისევ ისე იქნებოდა. ზუსტად ისე,როგორც არის. უბრალოდ როცა ამ „ვირუსულ“ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ასე ბობოქრობს ტკივილები და ავადმყოფობები მენანება, რომ სამედიცინო კუთხითაც, არ მაქვს განათლება მიღებული. ისე მინდა ზოგჯერ რომელიმე პალატაში შემეძლოს შესვლა და ვიღაცისთვის იმედის მიცემა, ვიღაცის ტკივილის გაყუჩება. ამიტომაც ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, სამედიცინო განათლებასაც მივიღებდი და ადამიანთა დამშვიდების, დახმარების ორივე შესაძლებლობა მექნებოდა.

***საყვარელი სტრიქონები?***

–მაქვს აკვიატებული ფრაზები და ისენი ჩემივე ლექსებიდან არის. მაგალითად:

„შენი მაჯებიდან დაწყებული,
შენი მხრების გავლით გზა მიყვარს“.

„ხშირად გაიღიმეთ, დარდები დამალეთ, ფანჯრიდან აფრინეთ ბავშვივით ბუშტები, მოიგეთ, მოიგეთ,

სიკეთით მოიგეთ, ამ ქვეყნის სულ ყველა ჭორი და ცუდები!!!“

***კიდევ რისი თქმა გინდათ?***

–დეკემბერია და სულ მალე საახალწლო სამზადისი დაიწყება ჩვენს ქვეყანაში. მინდა, რომ ჩემს ხობს, ხობელებს, ჩვენს ოჯახებს სითბო, სიხარული, სიმშვიდე, ჯანი და სიყვარული ვუსურვო. ჩემს ქვეყანაში არც ერთ ჭერქვეშ არ ყოფილიყოს საყოფაცხოვრებო პრობლემები, არც ერთი ემიგრანტი არ გვყოლოდეს, რომელიც შინ ვერ მოდის, არც ერთი ხანდაზმული არ გვყოლოდეს, რომელიც ტკივილს უწამლობის გამო ითმენს. ყველაგნ და ყველას სახლებში ღიმილი ყოფილიყოს. სოფლის ორღობეებში ყველა ეზოდან ისმოდეს პატარა ბავშვების ჟრიამული,–„გოლვაფირო“–რომელზე ტკბილი სიტყვაც დედამიწაზე არ მეგულება.

## ბებიას (ეთერ ბასლანძის) ხსოვნას

შენი ნაოჭები უფარავი,
შენი მოსახური შალის,
ახლა ყველა სითბოს მირჩევნია,
როგორ გამათბობდა ან კი...
როგორ წამომცვივდი, მომიარე,
იქნებ დამესიზმრო ღამით,
შენი ლოცვასავით შემაწიო
შუბლზე ნიავი და წყალი.
გულზე მრავალძარღვა დამაფინო,
მშველის,
ნუღარაგაქვს დარდი,
შენი ნაოჭების გახსენებაც– კურნავს,
გეფიცები ძალგიძს!..–
–ძალგიძს, უსიტყვოდაც მაპატიო
თუ კი მარტო დარჩი სახლში,
თუ კი აღდგომაზე ვერ გესტუმრე–
–გულში არ გაივლო, არ ღირს...
...გულში არ გაივლო ტკივილები,
შენი წნევის დამაქვს დარდი,
შენი კალთის გამო დავიძინებ,
ოღონდ დამესიზმრო ღამით...
ოღონდ შემომიხვდე ხილვასავით,
შენი ფერწახდილი კაბით,
ისევ შავი შალი გახურავს თუ
ფერი შეგეცვალა თალხის?!...
...ისევ რუდუნებით დასტრიალებ,
სახლ–კარს ყვავილების გასწრივ,
ვიცი, ჩემი ცრემლიც შეგაშფოთებს,
არა არ ვტირივარ ან კი.....
რა მაქვს სატირალი, როცა სადღაც
მაინც მეგულები დაღლილს,
როცა ნაოჭების გახსენება
ფიქრებს შვებასავით მაყრის....
რას არ გავიღებდი იმ შალისთვის,
შენ რომ გიყვარდა და ღამით
ისე მოვიხურავ, ჩავიხუტებ–
თითქოს ჩემთან მყავდე სახლში...

• • • • • • • • • • • • • • • • • • • •

თუ ერთხელაც უსამართლოდ უარგყვეს
უსამართლოდ მოგიხურეს დარაბა,
არაუშავს, თქვენ სიკეთით მოხატეთ–
ქვეყნის ყველა სიცივე და ქარაგმა.
თუ ერთხელაც იები ვერ მოგართვეს,
თუ სიყვარულს ვერ გიხსნიან
გზადაგზა,
არაუშავს, თქვენ ღიმილი არიგეთ
და დუმილებს უპასუხეთ ხმამაღლა.
თუ ერთხელაც უმიზეზოდ ატირდით,
დაიღალეთ და არ იცით რაღა ჰქნათ,
მთაში წადით... ისეირნეთ წვიმაში,
და დაბრუნდით უფრო,უფროოოო
ლამაზად.
თუ ერთხელაც მარტო დარჩით
თოვაში,
თუ არსაით წასასვლელი არა ჩანს,
ოცნებებში დაუძახეთ –
მობრძანდიიით,
(უმასპინძლეთ უსიტყვობას
ყავასთან)
თუ ერთხელაც უმიზეზოდ გატკინეს,
თუ დარდები წამოგეტყოთ თვალთანაც,
თუ რაღაცა არასწორად გაგიგეს,
არ იდარდოთ,გზა იპოვნის სამართალს.
თუ ერთხელაც შემოდგომა დაგიდგათ,
თუ არავის ელოდებით ზამთარსაც–
თქვენ კედლებზე მზე აპრილად
მოხატეთ,
გვირილები ჩამოჰკიდეთ ფარდაგად....
მერე?
მერე ფართოდ გამოაღეთ ფანჯრები
და იმღერეთ ისე... ისეეეე ხმამაღლა,
რომ ეგონოთ თუნდაც ერთი შეშლილი,
თქვენ ხომ ქვეყნად აღარავის არ
ჰგავხართ!!!!!

**ესაუბრა მანანა შულაია**

# ცოდნით ვძლიოთ ძალადობას

ცნობილია, რომ საზოგადოება აგრესიულ გარემოში ცხოვრებას თანდათან შეეგუა და მისი კონკრეტული გამოვლინების მიმართ გულგრილი გახდა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობები ხელს უწყობს ოჯახში ძალადობრივი ურთიერთობების წარმოშობას და შენარჩუნებას. ბევრი ჩვენგანი ძალადობას ქცევის ფორმად მიიჩნევს, მკვლელობა, ცემა, წამება, დასახიჩრება, ფიზიკური ძალადობის ის მაგალითებია, მრავლად რომ ვხვდებით ირგვლივ.

ნამდვილად არ ვარ სკეპტიკოსი, რომ სიმართლეს თვალი არ გავუსწორო, კანონმდებლობაში დადებით ძვრებსაც ვხედავ, მმართველობით და პოლიტიკურ სისტემაში უკვე არის ძალისხმევა, რომ ქალთა და მამაკაცთა ინტერესები თანაბრად იყოს განაწილებული ყველა დონეზე, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, პირველ რიგში კი საჭიროა ქალთა ცნობიერების დონის ამაღლება.



სწორედ ამ საქმეს ემსახურება არასამთავრობო ორგანიზაცია, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, რომელიც გარკვეულ მუშაობას ატარებს დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ მონაწილეობის მიღება. ფონდი „სოხუმი“ 2002 წლიდან გახდა მისი მონაწილე. ამ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდა ხობის მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები.

აქცია ყოველთვის იწყება 25 ნოემბერს–ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის დღეს და მთავრდება 10 დეკემბერს–ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს.

საქართველო ამ კამპანიას 2001 წელს შეუერთდა, კამპანიის მთავარი ლოზუნგია „ბოლო მოვუღოთ ქალთა მიმართ ძალადობას“, ხოლო სლოგანია „სახლში მშვიდობიდან–მსოფლიოში მშვიდობამდე!“.

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტში მოეწყო სხვადასხვა ღონისძიებები, აქციები, საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, ქალთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, გავრცელდა პოსტერები, საინფორმაციო მასალა. აქციებში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები ხობიდან „ხობის-Nevs“–(ლელა ალანია), „სამართლიანი არჩევნები“–(მაკა ლატარია), თორსის ქალთა საინიციატივო ჯგუფი–(გვანცა კიკალეიშვილი). მოეწყო სოფელში მცხოვრებ ქალბატონებთან შეხვედრა პირველი მაისის ტერიტორიულ ერთეულში, სადაც ჩამოყალიბდა ქალთა საინიციატივო ჯგუფი.

გვინდა მადლობა ვუთხრათ მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს პირველი მაისის ტერიტორიულ ერთეულში ქალბატონ მარინა ლაგვილავას გულთბილი დახვედრისთვის, დახმარებისა და აქტიური ჩართულობისთვის.

ღონისძიებები დამთავრდა, მუშაობა გრძელდება, „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინაალმედგ“.

**მანანა შულაია**

# „იშენშენ გეხარით!“

ამასწინათ, ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღი ახალ შენობაში გადავიდა. ყოფილი მეურნეობის ორსართულიან შენობას ევრორემონტი ჩაუტარდა. გამოიცვალა კარფანჯრები, იატაკი, შეილესა და შეიღება კედლები, მოეწყო სველი წერტილები.

სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ჩაატარა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 150 000 ლარი შეადგინა.

საბავშვო ბაღის შენობის გახსნას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ... მოსახლეობის მხრიდან კი ზღვა სიხარული და აღფრთოვანება მოდიოდა. გაოცებას ვერ მალავდნენ პატარები, მათ ხომ აქამდე ოროთახიან შენობაში უწევდათ ყოფნა...

მკითხველი დამეთანხმება, ზოგადად ბავშვები ბაღში ცრემლების გარეშე იშვიათად რჩებიან, უჭირთ ახალ გარემოსთან შეგუება, მშობლებთან დაშორება... ჩემი ბაღში სტუმრობის მიზეზი ახლობლის მონათხრობი გახლდათ. მეზობლად მცხოვრებ პატარა გიორგის ბაღში ხომ მიუხარია და მიუხარია, თურმე წამოსვლისას ტირის, ამაღამ აქ დავრჩები, იმ ლოგინში მინდა დაძინებაო.

მინდოდა თავად განმეცადა და მენახა ბავშვების ბედნიერი სახეები. გავკადნიერდები და ხმამაღლა ვიტყვი, არამც



თუ დღეს, ქვალონში ბაღის აღმზრდელები ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იყვნენ გამორჩეულები. ბავშვები კი სილამაზითა და სისუფთავით.

მახსოვს, რაიონის ამ ერთერთ დიდ სოფელში ორი საბავშვო ბაღი და 1 საბავშვო ბაგა იყო. მათ ყველასთვის საყვარელი ნეტარხსენებული ცუცა გვაძაბია, ლოლა გარუჩავა, ვალცი ახალაია ხელმძღვანელობდნენ.

დღესაც სიყვარულით ხვდებიან ბაგის აღზრდილები სათნო და სოფელში გამორჩეულ ქალბატონს ლილი ქორიძე-ხელაიას, თავად უკვე მშობლები და ბებიები მასთან შეხვედრისას ემოციებს ვერ მალავენ.

ბაღის ფოიესა და ოთახების დათვალიერება დროებით ბავშვობაში დაგაბრუნებთ, უფრო სწორად, ბავშვობას მოგანატრებთ. თუმცა, წლების წინათ სად



იყო თანამედროვე სათამაშოები, ტექნიკა, სამზარეულოს მოწყობილობა, მუსიკალური ინსტრუმენტები.

ჩემი მისვლა სადილობას დაემთხვა, მათი „შეჯიბრის“ ხილვას არაფერი სჯობდა... ერთი ქერა, ცისფერთვალება ბიჭი წამოხტა და „მე ვარ დიმა შენგელია“–სახელგვარით გამეცნო. მეორემ სულ „ჩამირაკრაკა“ რას აჭმევენ, როგორ ართობენ, რომ მათ დიდი დარბაზი აქვთ, მუსიკალური ცენტრი, ახალი პიანინო, ავეჯი, შემოკავებული დიდი ეზო. ერთმანეთს არ აცლიან როგორ იკვებებიან, სულ ზეპირად იციან როდის რას მიართმევენ, ასე, რომ ყველაზე ბოლოს გავესაუბრე ქალბატონ ელეონორა პაპავას (მთ. სპეციალისტი) აღმზრდელებს მანანა კოდუას, ნინო საჯაიას, მათ თანაშემწეებს ნათია ჯიგანიასა და ნინო ეჯიბაძეს.

ამასობაში ძილის დროც მოვიდა. თბილ საძინებელ ოთახში იმ დღეს 31-მა ბავშვმა დაიძინა, ანცებიც ჩუმად იწვნენ, თვალებს აფახულებდნენ სხვების-



თვის ძილი რომ არ დაეფრთხოთ.

–ძილის შემდეგ მეცადინეობა უნდა გავაგრძელოთ, მუნიციპალიტეტის მთავარ ნაძვისხესთან კონცერტისთვის ვემზადებით, საუკეთესოთა რიგში უნდა მოვხვდეთ, მეუბნება აღმზრდელის თანაშემწე ნათია ჯიგანია და პროგრამას მათვალიერებინებს, ბაღის ინტერიერი ისეა მორთული, უნდა ჩავთვალოთ, თოვლის პაპა ახლოსაა და ბავშვების ქცევას აკვირდება, რათა ნუგბარიც შესაბამისი შეურჩიოს.

ბოლოს სამზარეულოშიც შევიხედე, გულს უხარია ახალი თანამედროვე ტექნიკის ხილვა, მზარეულები დალი სხულუხია და სოფიო ბერაია უკვე ჭურჭელს ცხელი წყლით (საგანგებოდ ვამბობ) რეცხავენ და ახალი დღისთვის ემზადებიან.

გამოვხატავ მშობლების და ბაღის მოსამსახურეების გულისთქმას და დიდ სამადლობელს ვამბობ იმ ადამიანების მისამართით, ვინც ასე იზრუნა მომავალ თაობებზე, ჩვენს ხვალინდელ დღეზე.

დიდი მადლობა, „იშენ იშენ გეხარით“ (მაინცდამაინც გაიხარეთ)–ასე გამომაცილეს ყელმოღერებულმა პატარებმა.

გაიხარეთ უფროსებო, პატარების ასე გალაღებისთვის.

*მადლიერებით*

***მერი ლაგვილავა.***


ძვირფასო მკითხველო! გაზეთი „ხობის მოამბე“ იუბილარია–გაზაფხულზე 85 წლის ხდება.

გამოიწერეთ თქვენი გაზეთი



1 წლით, მხოლოდ 17 ლარად





დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:

თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1

ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.